საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 60/02-06 60-02-06-4-202001271426
27/01/2020

## სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის გურამ დონაძის ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მივლინებისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-12 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ნაწილების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის № 135/ნ ბრძანებით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ" და ,,პ" ქვეპუნქტების, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, "სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის"თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის 12/04 ერთობლივი ბრძანების მე-13 და მე-14 პუნქტების, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ნინო ფარცვანიას 2020 წლის 24 იანვრის №1040/10 განცხადების (თან ახლავს პირადი განცადება) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მივლინებულ იქნეს, 2020 წლის 31 იანვრიდან 2021 წლის პირველ იანვრამდე ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქ ბრაზილიაში, ბრაზილიის უნივერსიტეტში, როგორც უცხოელი პროფესორის რანგში ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად და ლექციების წასაკითხად კომიტაციურ ალგებრაში და ალგებრულ ტოპოლოგიაში, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი გურამ დონაძე;
2. შეუჩერდეს შრომის ანაზღაურება 2020 წლის 16 მარტიდან 2021 წლის პირველ იანვრამდე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 229 42 88 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელს გურამ დონაძეს;

3. დაევალოს გურამ დონაძეს წარუდგინოს მივლინების ანგარიში თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე;
4. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი);
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი